საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმში 1910-1914 წწ.

ანა ლილუაშვილი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი
ელ-ფოსტა: analiluashvili1@gmail.com
ORCID:

აბსტრაქტი. ბათუმს მეტად მოხერხებული სატრანზიტო მდებარეობა და შავ ზღვაზე გამორჩეული ღრმაწყლოვანი ნავსადგური გააჩნია. ოსმალეთის იმპერიაში მოქცეული ქალაქის განვითარება ძალზე ნელი ტემპებით მიმდინარეობდა. ბათუმის განსაკუთრებულმა ბუნებრივმა პირობებმა იმთავითვე მიიქცია XIX საუკუნის დასაწყისიდან ამიერკავკასიაში შემოჭრილი რუსეთის ყურადღება. ბათუმის დაუფლება ცარიზმის ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა XIX საუკუნეში ოსმალეთთან წარმოებულ ომებში. თუმცა განზრახვის შესრულება რუსეთმა მხოლოდ 1877-1878 წლების ოსმალეთთან ომში გამარჯვების შემდეგ შეძლო. ჯერ სან-სტეფანოს, ხოლო შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს - თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ამიერიდან დაიწყო ბათუმის სწრაფი განვითარება, რაც განაპირობა ბაქოს ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ბათუმიდან ტრანზიტმა. რკინიგზის გაყვანამ, პორტის მშენებლობამ, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ამოქმედებამ მძლავრი ბიძგი მისცა ბათუმის სამრეწველო და სავაჭრო განვითარებას. სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობაც, ძირითადად მუშათა კლასის ხარჯზე. ყოველივე აღნიშნულმა განაპირობა XX საუკუნის დასაწყისიდან ბათუმის მძლავრ რევოლციურ ქალაქად გადაქცევა. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და რუსეთის იმპერიაში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები გავლენას ახდენდა ქალაქის მდგომარეობაზე.

XX საუკუნის 10-იანი წლებიდან პირველი მსოფლიო ომის მოახლოებამ კვლავ გამოიწვია ბათუმისადმი საერთაშორისო ინტერესის გაზრდა. უცხოეთის სპეცსამსახურების საქმიანობის გაძლიერება, კიდევ უფრო ამწვავებდა ისედაც რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ბათუმში. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია პირველი მსოფლიო ომის წინ ბათუმში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესები.

საკვანძო სიტყვები: ბათუმი, ნავთობის ექსპორტი, პოლიტიკური პარტიები, სოციალ-დემოკრატები.

***

შესავალი. XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი მეტად საინტერესო პერიოდია როგორც საქართველოს, ისე მისი რეგიონებისა და ქალაქების სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ბათუმის ბაქოს „ნავთობის კარიბჭედ“ გადაქცევამ, განსაზღვრა არა მხოლოდ ქალაქ ბათუმის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ხასიათი და ტემპები, არამედ დიდი გავლენა მოახდინა საერთოდ ბათუმის ოლქის და შეიძლება ითქვას, მთელი დასავლეთ საქართველოს განვითარებაზე. ბაქო-ბათუმის სარკინიგზო ხაზის გაყვანამ, გამტარუნარიანი პორტის მშენებლობამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა ბათუმის წარმატებები. მაგრამ XX საუკუნის დასაწყისიდან, ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მომხდარი ცვლილებები უარყოფითად აისახა ბათუმის ეკონომიკურ განვითარებაზე. უფრო მეტიც, მძიმე შედეგები იქონია ქალაქის განვითარებაზე: შემცირდა წარმოება, დაიხურა სამრეწველო საწარმოები, გაიზარდა უმუშევრობა. ამას დაერთო რუსეთის იმპერიაში განვითარებული პოლიტიკური პროცესები, რამაც

ბათუმში მუშათა დიდ მასას მოუყარა თავი. საგრძნობლად დაეცა ხელფასი, გაიზარდა სამუშაო დღე, მუშათა საბინაო პირობები კატასტროფული გახდა. აღნიშნულის შედეგად ბათუმის ოლქში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ მხარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-რევოლუციონერების, ეროვნულ-დემოკრატების პოლიტიკური პარტიები და მათი საქმიანობა.

900-იანი წლების ბოლოს დამთავრდა კრიზისის პერიოდი რუსეთის იმპერიაში და 10-იანი წლებიდან დაიწყო ეკონომიკური გამოცოცხლება. აღნიშნული ტენდენცია დამახასიათებელი იყო ბათუმისთვისაც. სამრეწველო განვითარებაში კვლავ წამყვანი ნავთობის ექსპორტთან დაკავშირებული საწარმოები იყო, თუმცა ისინი ადრინდელი დატვირთვით ვეღარ მუშაობდნენ. ვითარდებოდა სხვა დარგებიც. საერთოდ, ბათუმის განვითარება მის საპორტო-სატრანსპორტო ფუნქციასთან იყო დაკავშირებული.

ეკონომიკურმა აღმავლობამ გამოიწვია საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურებაც. პოლიტიკურ პარტიებს შორის, საზოგადოებაში გავლენითა და პოლიტიკური ორგანიზებულობით გამოირჩეოდა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და მისი ბათუმის კომიტეტი. ძირითადად იგი ხელმძღვანელობდა 1910-1914 წლებში ბათუმში მიმდინარე პოლიტიკურ გამოსვლებს.

1910-1914 წლები პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდია. შესაბამისად, ბათუმის ოლქშიც, როგორც იმპერიის საზღვრისპირა რეგიონში აშკარა იყო უცხო ქვეყნების (განსაკუთრებით თურქი და გერმანელი) დაზვერვის სამსახურების გააქტიურება. აღნიშნულის გამო, კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა ბათუმის ოლქში, ბათუმი მოექცა იმპერიალისტური სახელმწიფოების ინტერესის ცენტრში. აქ უპირისპირდებოდა ერთმანეთს რუსეთისა და ოსმალეთის (და არა მარტო მათი) იმპერიალისტური ინტერესები. საკმაოდ რთულ საშინაო-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ვითარებასთან ერთად საგარეო ფაქტორებმა არსებითი გავლენა მოახდინა 1910-1914 წლების ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობაზე.

წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა. წარმოდგენილი ნაშრომი ეფუძნება შესაბამისი პერიოდის საარქივო დოკუმენტებს, პრესის მასალებს, მემუარულ ცნობებს, გამოყენებულია ბათუმის ისტორიაზე ბოლო პერიოდში გამოცემული სამეცნიერო კრებულები და ისტორიოგრაფიის მონაცემები.

მეთოდოლოგია. ნაშრომში შესწავლილი პრობლემატიკის გათვალისწინებით გამოყენებულია კვლევის სხვადასხვა მეთოდები: წყაროს ანალიზი, ლოგიკური, შედარებითი, შედარებით-ისტორიული, სისტემური ანალიზი და სხვა.

დისკუსია. XX საუკუნის დამდეგს, მსხვილ კაპიტალისტებს შორის კონკურენციამ ბათუმში მწვავე ხასიათი მიიღო. წვრილი საწარმოები საბოლოოდ განადგურდა. მოწინავე ტექნიკით აღჭურვილმა კაპიტალისტურმა წარმოებამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ნავთობის საექსპორტო ტარის წარმოების და თვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი მსხვილი მონოპოლიების ხელში გადავიდა.

მსხვილი ფაბრიკა ქარხნებისა და მათი მუშების რიცხვის მიხედვით ბათუმი ამიერკავკასიაში ჩამორჩებოდა მხოლოდ ბაქოსა და თბილისს. ბათუმი და მისი ოლქი რუსეთის იმპერიაში მოექცა კაპიტალისტურ ურთიერთობათა აქტიური განვითარების პერიოდში, რის გამოც იგი სწრაფი ტემპით დაწინაურდა და მალევე ამიერკავკასიის ერთ-ერთ მსხვილ სამრეწველო ცენტრად იქცა. ბათუმის ეკონომიკური დაწინაურების მიუხედავად XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მძიმე იყო მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობები. სწორედ ამ პერიოდში, ბათუმს სამუშაოს მაძიებელი გლეხობა მოაწყდა, რამაც შექმნა მუშახელის სიჭარბე. კონკურენციამ გააუარესა მათი მდგომარეობა. გაზეთი „კვალი“ იუწყებოდა: „უცქერის მექარხნე ამდენი სხვადასხვა ტომის ღარიბ-ღატაკ ხალხს, და რასაკვირველია იაფადაც ქირაობს და რატომ არ უნდა იქირაოს, როცა მუშები ეხვეწებიან:

ოღონდ დამიქირავე და რაც გინდა ის მომეციო, მუშები თვითონ ეცილებიან ერთმანეთს და ამის გამო მათ მდგომარეობა მიწასთან გასწორდა“ (“კვალი“, №17, 1899).

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა სხვადასხვა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა, რომელთაგან ყველაზე ანგარიშგასაწევ ძალად იქცა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია.

სოციალ-დემოკრატიული წრეები დაარსდა ბათუმის სამრეწველო საწარმოებში-როტშილდისა და მანთაშევის ქარხნებში, რომელთა მუშახელი „თითქმის მხოლოდ ქართველობა... სოფლებიდან აყრილი და ბათუმს შემოხიზნული“ მუშები იყვნენ. ამიტომ აქ ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსებას და მის აქტიურ საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბათუმის ოლქსა და მთელს დასავლეთ საქართველოში, რევოლუციურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის შემდგომი განვითარებისათვის. ორგანიზაციის ინტელიგენტი წევრები, რომელთაც ი. ჯუღაშვილი ხელმძღვანელობდა, ადგენდნენ და ავრცელებდნენ პროკლამაციებს, სხვა არალეგალურ ლიტერატურას.

XX საუკუნის დამდეგს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა გაზეთების „ივერიისა“ და „ცნობის ფურცელი“-ს გარშემო შეკრებილი ჯგუფი (ა. ჯორჯაძე, გ. ლასხიშვილი, ს. ფირცხალავა და სხვ.) აირჩიეს ხელმძღვანელი კომიტეტი და დაიწყეს მუშაობა პარტიის შესაქმნელად. 1903 წელს პარიზში დაიწყეს გაზეთ „საქართველო“-ს გამოცემა. 1904 წლის აპრილში გაზეთ „საქართველო“-ს რედაქციამ იმ ქართველი ახალგაზრდების მონაწილეობით, რომლებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ, მოიწვია ჟენევაში კონფერენცია და დაარსა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია. სოციალისტ-ფედერალისტები ითხოვდნენ საქართველოს ავტონომიას ფედერალიზმის საფუძველზე მოწყობილი რუსეთის ფარგლებში. ჟენევის კონფერენციის აქტიური მონაწილე იყო ბათუმელი დელეგატი ალ.გაბუნია. ორგანიზაციასთან ახლო კავშირი ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოში ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს მემედ აბაშიძეს. ბათუმელი სოციალისტ-ფედერალისტები გახდნენ რეალური პოლიტიკური ძალა, რომელსაც დაეკისრა საკუთარი წვლილი შეეტანა მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სოციალ-დემოკრატიული და სოციალისტ-ფედერალისტური ორგანიზაციების გარდა, ბათუმის ოლქში მოქმედებდა სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების), ებრაელთა პოლიტიკური ორგანიზაცია „ბუნდის“ და სომხური „დაშნაკისტების“ პარტიული ორგანიზაციები. აგრეთვე „ხალხის კავშირის“, „მიწათმოქმედთა კავშირისა“და „ქალაქების კავშირის“ წარმომადგენლობები (გოგოლიშვილი, 1996: 41-45).

900-იანი წლების დამდეგს სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაცია საქართველოში დამოუკიდებელი პარტიის სახით არ არსებობდა. ბათუმში იგი ადგილობრივ ჯგუფად სოციალისტ-ფედერალისტდა ორგანიზაციასთან მჭიდრო კავშირში მოქმედებდა და იდეოლოგიური მუშაობის თვალსაზრისით რუსეთში შექმნილი სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) პარტიის შემადგენელ ნაწილად ითვლებოდა.

ბათუმის ოლქში საქმიანობდა „დაშნაკისტების“ სომხური ნაციონალისტური ორგანიზაცია. მისი წევრები ძირითადად შემოკრებილნი იყვნენ თბილისის კომერციული ბანკის ბათუმის განყოფილების გარშემო და დახმარებას უწევდნენ ოსმალეთიდან ჩამოსულ სომხებს დაბინავებასა და სამუშაოზე მოწყობაში, იარაღის შეძენასა და ფოთის თუ ბათუმის ნავსადგურებიდან ყარსში, არტაანსა და სხვა ადგილებში გამგზავრებაში (ასმხფ. 4, ს. 10: 45). „დაშნაკისტების“ პარტია სოციალ-დემოკრატიული მიმართულების იყო და ძირითადად სომეხი მუშების ნაციონალისტურ ინტერესებს გამოხატავდა.

ებრაელ მუშათა საყოველთაო სოცილ-დემოკრატიული კავშირი „ბუნდი“-ს საქმიანობა ძირითადად ებრაელი პროლეტარების მდგომარეობას შეეხებოდა. „ბუნდელები“ ძირითადად ბათუმის

სამრეწველო საწარმოთა მუშებში საქმიანობდნენ. თავიანთი პროპაგანდით ისინი ცდილობდნენ რუსულ საზოგადოებაში გაეძლიერებინათ ებრაელთა სიყვარული, იმყოფებოდნენ ცარიზმის შოვინისტურ წრეებთან ალიანსში, ცდილობდნენ შუღლი ჩამოეგდოთ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს შორის (ასმხფ, 4, ს. 1520: 18).

XX საუკუნის დასაწყისიდან, განსაკუთრებით რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის (1905-1907 წწ.) პერიოდში „ბათუმის რევოლუციური პროცესების ძირითადი მამოძრავებელი ძალები იყვნენ აქ არსებული პოლიტიკური პარტიები. ეთნიკური და სოციალური სიჭრელე ბათუმში განაპირობებდა სხვადასხვა ეროვნული და სოციალური ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტიების არსებობას (გოგოლიშვილი, 2019: 73-74).

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მწვავე პოლიტიკური რეპრესიების მიუხედავად, ბათუმის ოლქის პოლიტიკური პარტიები იატაკქვეშეთიდან განაგრძობდნენ საქმიანობას. იმ დროს აქტიურობდა მხოლოდ ორი პარტია: სოციალისტ-დემოკრატები და ფედერალისტები. ისინი ყოველ შესაძლებობას იყენებდნენ რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად XX საუკუნის 10-იანი წლებიდან რუსეთის იმპერიაში კვლავ გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა. ბათუმის ოლქშიც „1913 წლიდან გაძლიერდა პოლიტიკური დაძაბულობა, რაც მოახლოებულ პირველ მსოფლიო ომს უკავშირდებოდა“ (აჭარა, 2024: 303).

ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შესახებ აცნობებდა: „ბათუმში არსებობს სოციალ-დემოკრატებისა და ფედერალისტების პარტიები. მათი საქმიანობა ძირითადად უცხოეთიდან არალეგალური ლიტერატურის ჩამოტანასა და გავრცელებაში მდგომარეობს... ხშირია მათ შორის დაპირისპირება. მოსახლეობა სიმპათიით უფრო სოციალ-დემოკრატების მიმართ არის განწყობილი“ (სეა, ფ. 13, ს. 198: 81).

1910 წლის 20 ივნისს კავკასიის მეფისნაცვლის სახელზე გაგზავნილ ცნობაში აღნიშნულია სოციალ-დემოკრატების ტეროტისტული აქტების შესახებ. მიუხედავად ხელისუფლების მცდელობისა, უარყოფითად დაახასიათოს ამ პარტიის საქმიანობა და დააბრალოს სხვადასხვა დანაშაული, აშკარაა, რომ პარტიის ავტორიტეტი ხალხში საგრძნობლად იზრდებოდა. 1911-1912 წლიდან შეიმჩნეოდა საზოგადობრივ-პოლიტიკური ცხოვრების გააქტიურება. გამოცოცხლდა ბათუმის ოლქის პრესა. იბეჭდებოდა მთავრობის მამხილებელი სტატიები, ხელისუფლება დევნიდა გაზეთებს, აწყობდა ჩხრეკებს რედაქციებში, აპატიმრებდა რედაქტორებს და აძევებდა ოლქის საზღვრებიდან, ხურავდა მისთვის არასასურველ გამოცემებს. ერთ-ერთი ასეთი გამოცემა იყო „ბათუმის გაზეთი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა სპირიდონ ჭელიძე (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, 2008: 342).

„ბათუმის გაზეთი“ თავის ფურცლებზე სისტემატურად და ფართოდ, მიუკერძოებლად აშუქებდა ბათუმის ოლქის, განსაკუთრებით კი ქალაქ ბათუმის საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს. სწორედ ასეთი პოზიციის გამო, ხელისუფლება არ სწყალობდა მას (კარალიძე, 2012: 68). საბოლოოდ კი 1914 წლის 13 ივლისს, „ბათუმის გაზეთი“ აკრძალეს (სახალხო ფურცელი, 1914: №46).

1912 წელს ლენის ოქროს საბადოებში მომხდარმა მუშათა დახვრეტის ფაქტმა მთელ იმპერიაში მუშათა მოძრაობის მასობრივი გააქტიურება გამოიწვია. დიდი მღელვარება იყო ბათუმშიც („ბათუმის გაზეთი“, №116, 1912).

ხელისუფლება აქტიურად ჯაშუშურ საქმიანობას აძლიერებდა, გახშირდა „არასაკეთილსაიმედოობის“ ბრალდებით მუშათა დაპატიმრებისა და გადასახლების შემთხვევები (აცსა, ფ. 1, ს. 454: 35).

1913 წელს ბათუმის ოლქში გაძლიერდა პოლიტიკური დაძაბულობა, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა მოახლოებულ ომს. XX საუკუნის დასაწყისიდან დაპირისპირება ევროპის დიდ სახელ-

მწიფოებს შორის სულ უფრო ღრმავდებოდა. ანტანტასა და სამთა კავშირს შორის სამხედრო კონფლიქტი გარდაუვალი ხდებოდა. „რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკა, ისევე, როგორც გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, ავსტრია-უნგრეთის, იტალიის საგარეო პოლიტიკა ომის თავიდან აცილებისკენ არ იყო მიმართული. დიდი სახელმწიფოები ცდილობდნენ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების შექმნით მოეგვარებინათ ურთულესი საერთაშორისო პრობლემები. ევროპა მსოფლიო ომისკენ მიექანებოდა“ (გურული, 2021: 193) ხელისუფლების ჩინოვნიკთა აყველა მიმოწერა (ბათუმიდან ცენტრში თუ პირიქით) შეეხებოდა ოსმალეთთან ურთიერთობას და ოსმალეთის ემისრების გააქტიურებული საქმიანობის დაუყონებლივ აღკვეთას. ბათუმი მსოფლიოს დიდი ქვეყნების ყურადღების ცენტრში მოექცა. ამაზე მეტყველებდა გახშირებული ვიზიტები. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორთან შეიქმნა შტაბი, რომელსაც ქალაქში ჩამოსულ ყველა უცხოელზე თვალთვალი დაევალა. შტაბს ჰყავდა აგენტურის ფართო ქსელი, რომელშიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან ერთად შედიოდა ოლქის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პოლიციელები და ჟანდარმერიის წევრები. შტაბი საგანგებო ვითარებისთვის ემზადებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელ აგენტებზე დაწესებული იყო თვალთვალი, ზოგ მათგანზე კონტროლი ვერ ხერხდებოდა, განსაკუთრებით იმათი, რომლებიც ოსმალეთიდან საზღვრის დარღვევით გადმოდიოდნენ. ბათუმში დაზვერვით საქმიანობას ეწეოდნენ თურქი, გერმანელი და ავსტრიელი აგენტები. უცხოელებმა შეძლეს თვით ბათუმის ოლქის ადმინისტრაციაში ჩინოვნიკების მოსყიდვა. ამ ცნობებით აღშფოთებული მეფისნაცვალი, ავალდებულებდა გუბერნატორს, რომ მას სამსახურში მიეღო მხოლოდ პოლიტიკურად საიმედო ხალხი.

რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო აფრთხილებდა კავკასიის მეფისნაცვალს მიეღო გადამჭრელი ზომები კავკასიაში ოსმალთა ძირგამომთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად.

ბუნებრივია, ბათუმის ოლქისადმი უმაღლესი ხელისუფლების ასეთი განსაკუთრებული ყურადღება იმით იყო გამოწვეული, რომ ოლქი უშუალოდ ესაზღვრებოდა ოსმალეთს.

პირველი მსოფლიო ომის მოახლოებასთან ერთად უკიდურესად დაიძაბა მდგომარეობა მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 1913 წლიდან ბათუმშიც მკვეთრად გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა. იმჟამად ბათუმში მოღვაწე სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრის დავით ყიფშიძის ცნობით „ბათუმში მიმდინარე ფართოდ გაშლილი სამოქალაქო აქტივობები, გაცხარებული სამოქალაქო ინიციატივები „კულტურულ ომსაც“ წარმოადგენდა (ქავთარაძე, მანია, 2013: 65). იგივე დავით ყიფშიძე წერდა: „ქართველობა იღვიძებს, ირაზმება კულტურული ომისთვის...“ (ქავთარაძე, 1992: 118).

1914 წელს ბათუმში რევოლუციური გამოსვლების გაძლიერებით აღინიშნა. ხელისუფლება შექმნილ მდგომარეობას საგანგებო მდგომარეობის გახანგრძლივებით პასუხობდა. „ბათუმის გაზეთი“ წერდა: „მუშათა მოძრაობა დღითი-დღე იზრდება, გაფიცვა სწრაფად ერთი ქარხნიდან მეორეს ედება... ყველგან სიცოცხლის ნიშნებია და ცხოვრებაც განახლების გზას ადგია“ („ბათუმის გაზეთი“, №8, 1914).

დასკვნა. XX საუკუნის 10-იანი წლები მეტად საინტერესო პერიოდია რეგიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების თვალსაზრისით. ბათუმის ოლქში ჩამოყალიბდა პოლიტიკური ორგანიზაციები და პარტიები, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ მხარის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პოლიტიკური პარტიების ინიციატივით მოწყობილმა მიტინგებმა, დემონსტრაციებმა და გაფიცვებმა უკიდურესად დაძაბა პოლიტიკური მდგომარეობა ბათუმის ოლქში. რაც მთავარია, მთელი სიმძაფრით დადგა სოციალური პრობლემების გადაჭრის საკითხი. ეს პროცესები განვითარდა ბათუმის ოლქშიც. ეს პროცესები განსაკუთრებით აქტიური იყო ქალაქ ბათუმში.

პირველი მსოფლიო ომის წინ კიდევ უფრო დაიძაბა მდგომარეობა ბათუმის ოლქში. აქ კვლავ გადაიკვეთა რუსეთის, ოსმალეთის და ევროპის დიდი ქვეყნების ინტერესები. ოსმალებმა და მისმა

ევროპელმა მოკავშირეებმა, დიდი რაოდენობით შემოგზავნეს ემისრები სადაზვერვო საქმიანობის საწარმოებლად. უცხოელთა საქმიანობის გააქტიურება დაემთხვა მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების საფუძველზე გაძლიერებულ რევოლუციურ მოძრაობას. აღსანიშნავია, რომ შექმნილ ასეთ მწვავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას, ქართველებმა ეროვნული ცნობიერების აღდგენისა და გაძლიერებისთვის წარმოებული უდიდესი ძალისხმევა დაუპირისპირეს.

ემისართა საქმიანობამ ნაწილობრივ ნაყოფიც კი გამოიღო, მაგრამ ქართველებმა ამ ფაქტს, ეროვნული ცნობიერების აღდგენისა და გაძლიერებისთვის წარმოებული უდიდესი ძალისხმევა დაუპირისპირეს.

ამდენად, 1900-იანი წლებისთვის რეგიონის მოსახლეობა უკვე მკაფიოდ აცნობიერებდა პროგრესული და დემოკრატიული ღრებულებების მნიშვნელობას, რაც ქალაქში სოციალური და პოლიტიკური მოძრაობის გააქტიურებისა და სოციალური სამართლიანობის მოთხოვნის გაძლიერების საფუძვლად იქცა.

ბიბლიოგრაფია

აცსა, ფ. 1, ს.: აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 1,აღწერა1,საქმე 474.

ასმხფ. 4, ს. 10: აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი 4, საქმე 10, ს.1520.

აჭარა, 2024: აჭარა, უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე, მთავარი რედაქტორი როინ მალაყმაძე, ბათუმი 2024.

„ბათუმის გაზეთი“, N8, 1914.

„ბათუმის გაზეთი“, N116, 1912.

გოგოლიშვილი,1996: გოგოლიშვილი ოთარ, საზოგადოებრივ პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1900-1914 წლებში, ქუთაისი 1996.

გოგოლიშვილი, 2019: გოგოლიშვილი ოთარ, ბათუმის ისტორიიდან, ქუთაისი 2019.

გურული, 2021: გურული ვახტანგ, საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი IV, თბილისი, 2021.

კარალიძე, 2012: კარალიძე ჯემალ, „ბათუმის გაზეთი“-ბათუმის ისტორიის მნიშვნელოვანი წყარო, ბათუმი, წარსული და თანამედროვეობა, II, ბათუმი 2012.

„კვალი“, N17, 1899.

„სახალხო საქმე“, N46, 1914

სეა, ფ. 13, ს. 198: საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 13, აღწერა 22, საქმე 198.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, III , ბათუმი, 2008.

ქავთარაძე, 1992: ქავთარაძე ესმა, დავით ყიფშიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) თბილისი, 1992.